

5490

26
1865

325

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

М А Й .




საქართველოს

სახელმწიფო მასხრებელი.

მთბო.

ბედეწ.



ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. ЭНФІАДЖІАНЦА и К-о.

ОБЪ ИЗДАНИИ

« ГРУЗИНСКАГО ДУХОВНАГО ВѢСТНИКА »

въ будущемъ 18⁶⁵/₆₆ году.

Журналъ «Грузинскій Дух. Вѣстникъ», издаваемый съ 1-го іюля 1864 г., будетъ издаваться по той же, утвержденной Св. Синодомъ, программѣ и въ слѣдующемъ году. Мѣсячная книжка будетъ заключать въ себѣ отъ 4-хъ до 6-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ «Русскими Прибавленіями»; а сіи послѣднія—не менѣе одного листа.

Цѣна остается прежняя, т. е. съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ «Прибавленіями» на русск. яз., безъ доставки же и пересылки 4 р., за одни «Прибавленія» на русскомъ языкѣ особо подписывающіеся благоволятъ выслать 1 р. с.

Редакція приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы сдѣлать свое изданіе интереснымъ и полезно-занимательнымъ для читателей. — Вмѣстѣ съ симъ покорнѣйше проситъ она почтеннѣйшихъ оо. и гг., желающихъ возобновить подписку на журналъ, сдѣлать это заблаговременно, дабы дать возможность хоть приблизительно опредѣлить, въ какомъ количествѣ печатать книжки.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской Духовной Семинаріи, на имя редактора—издателя.

• • • • •

ჟურნალზედ ხელის-მოწერა

მეორე წლისათვის,

რომელიც მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. უასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭუკებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან., მარტო რუსულისათვის ექთი მანეთი.

3502

კით. ვითარითა სახითა ჰსცდოდა აბრაამს ღმერთი?

მივ. ღმერთს ენება გამოეცადა საწმუნოება და მოჩილება აბრაამისა, ამიტომ უბრძანა რომ ისააკი შესწიროს მას მსხვერძლად. აბრაამმა დაუყოვნებლივ აღასრულა ეს ღმერთის ბრძანება. თუძცა აბრაამს ჰქუანდა მხოლოდ ერთი შვილი, რომელსედაც ღმერთის აღთქმანი უნდა აღსრულებულ იყენენ, მაგრამ იგი სრულის გაბედულობით გაემზადა მის შესაწირად მსხვერძლად უფლისა. იმ დროს როდესაც ჰსურდა დაებოლოებინა ეს მტკიცე განსრახვა მსწრაფლ, ხელი შეუჭრა ანგელოსმა და აუწყა, რომ ღმერთი დაწმუნებულია იმის საწმუნოებაზე და მოჩილებაზედ, ამ სიტყვების შემდეგ დაანახვა შორი-ახლოს ბუჩქნარში კრავი, რათა შესწიროს იგი აბრაამმა ისაკის ნაცვლად.

კით. ისაკი როგორ ჰსცხოვრებდა ?

მივ. ისაკი თვისი კეთილი და მშვიდი ცხოვრებით სრულიად ემსგავსებოდა აბრაამს. ღმერთმა ისაკისაც გაუძეორა, რომ აღსრულებს სულ-ეჟლას, რაც

უცნობი

კი აღუთქვა აბრამს, კვლად განუმეორა ისააკს
აღუთქმა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ერ-
თსა იმის შთამამავალთაგანსა უნდა გამოესსნა ყო-
ველი კაცთა ნათესავი. ისააკს ჰყვანდა ორი შვი-
ლი—ესავი და იაკობი.

კით. რა შეემთხვათ ისააკის შვილებს ?

მივ. ისააკი ხომ ძალიან მოხუცდა, დაბრძანდა და რე-
დესაც იგრძნო მოახლოება სიკვდილისა, მაშინ ი-
სურვა დალოცვა და კურთხევა თავისი შვილებისა.
რებევას, ისააკის ცოლს, უმეტესად უყვარდა უძ-
ცროსი შვილი იაკობი, ვიდრე ესავი, უფროსი
შვილი, ამიტომ დედამ ისურვა, რომ უძცროსმა
იაკობმა მიიღოს ის ღოცვა-კურთხევა ისააკისაგან,
რომელიც სიუმი-შვილს ანუ ჰირემოს ესავს უნდა
მიეღო; ისააკი რადგანაც ბრძა და უჩინო იყო,
ამიტომ ჩქარა მოსტუჟდა და დალოცა უძცრო-
სი შვილი. იაკობი იმ კვარად, როგორც დაი-
ლოცუებოდნენ ხომე, იმ დროს მხოლოდ ჰირ-
ემონი შვილნი. როდესაც ეს გაიგო ესავმა დიდი

შური ჩაიღო გულში და ძრეულ მოიძულა თავისი ძმა იაკობი, დედას შეეშინდა, რომ არა-ვითარძემე ვნება არ მიეგო და გაგზავნა იგი თავის ძმა ლაზართან.

კით. რა შეემთხვა იაკობს მოგზაურობის დროს, როდესაც ის მიდიოდა თავის დედის ძმასთან ?

მიგ. მოგზაურობაში, ძილის დროს, იაკობმა იხილა ძილში კიბე აუუღებული დედა-მიწიღვან ცამდინ, რომელსედაც ანკელოსნი ღუთისანი ადიოდნენ და ჩამოდრიოდნენ, ხოლო ძაღლა კიბის თავში ბრძანდებოდა თუთ ღ მ ე რ თ ი ს ა ბ ბ ა ო . უფალმა აკუთხა იაკობი და აღუთქვა, რომ იმ ქუჩაყანას, სადაც ის იყო, მისცემს მის შთამამავლობას საშვილიშვილო სამკვიდრებელად.

კით. რავდენი შვილი ჰყვანდა იაკობს ?

მიგ. იაკობს ჰყვანდა თორმეტი შვილი, რომლებიც შეიქმნენ მამათ-მთავრებად თორმეტის ისრაიტელთ შთამამავლობისა. სახელები მათნი არიან შემდგომნი: რუბიმ, სვიმეონ, ლევი, იუდა, იზაქარ, ზაბულონ,

ღანი, კად, ასური, ნეფთალიმ, იოსებ, ბენიამინ.
კით. უძეტესად რითი განიჩყოდა იოსებ სხვათა ძმა-
თავან ?

მიგ. იოსები განიჩყოდა სხვათა ძმათავან კეთილ-
ზნეობითა, მშვიდობიანის და წყნარის-ყოფა-ქცევო-
თა და თავის მშობლის მოჩილებითა. იგი აკე-
ბინებდა მამას წასაცვი იმისი ძმები დააშავებდნენ—
ამისთვის ძმებმა მოიძულეს იოსები, უძეტესად შუ-
რი ჩაიდეს გულში მაშინ უფრო, როდესაც იაკობმა
ახსენა მათ ძილში ნანახი სიზმრები, ამ ნაჩათ
ვითომ იოსები უნდა ხელმწიფედ ყოფილ-იყო და
ძმებს დედ-მამითურთ უნდა თავუანი ეცათ როგორც
მეფის-თვს. ეს შური იმ კვარად გამჩიელდა, რომ
უკანასკნელად კადსწევითეს ძმებმა იოსების მოკ-
ვლა.

კით. აღასრულეს მათ თავიანთი განზრახვა თუ არა ?

მიგ. იმათ არ მოკლეს იოსები, არამედ რადგანაც იუ-
დამ ერთმა ძმათავანმა უჩიია და დააჯერა კიდევ
სხვა ძმები, რომ გაჭყიდონ იოსები, ამიტომ ის-

მაილის ქალაქის ვაჭართა მიჭვიდეს და წაიყვანეს იგი თვისთან. იაკობს შეატყობინეს ვითომ ტყეში ნადირთ გვეფუჭებინოსთ იოსები. ესე ყოველი განზრახულება აღასრულეს მაშინ, როდესაც მამამ გაგზავნა იოსები მინდორში ძმებთან, როდესაც ისინი მწესიდნენ ცხოვართა და სხვათა ნახირთა. იზმაილის ვაჭართა მიჭვიდეს ჰენტეფორიას ერთსა ფარაონის კარის-კაცთაგანსა.

კით. რა ბედნიერება ეწია იოსებს ეგვიპტეში ?

მიგ. თუძცა იოსები იყო მონებაში, მაგრამ სიძარტლისა და სიმშვიდისათვის ღმერთმა აღიდა იგი. უძეტესად ის გამოჩნდა საკუთარის ნიჭითა, რომელიც ღმერთმა მიაგო მას, ეს ნიჭი იყო სიზმართ აღსნა, ანუ განძარტება, და როდესაც აუხსნა მან სიზმარი ფარაონსა, შეიქმნა ჰირველ ჰირად მეფის შემდგომი.

კით. რა შემთხვევა იყო და მიზეზი, რომ იოსების ძმები მივიდნენ ეგვიპტეში ?

მიგ. იოსების ძმები მივიდნენ ეგვიპტეში იმ დროს,

როდესაც ქანაანის ქუჩუანაში გაჩნდა სიუმილი, ანუ შიმშილი ზურისა, ხოლო ეგვიპტეში იოსების რჩევით და განკარგულებით შენახული ჭქონდათ საკმაოდ ზური, წინა წლის მოსავლებიდან, როდესაც ძალიან კარგი ჭირნახულები მოდიოდა. მაშა სადამე იაკობმა თავისი შვილები გაკზავნა ეგვიპტეში ზურის სასყიდლად, თავისთან დააჩინა მხოლოდ უძცროსი—ბენიამინი. როდესაც იაკობის შვილები მივიდნენ ეგვიპტეში, მაშინვე წარუდგინეს ივინი იოსებსა, რადგანაც ამის ბრძანებით იუიღებოდა ზური.

კით. როგორ მიიღო იოსებმა თავისი ძმები ?

მივ. იოსებმა იცნა თავისი ძმები, მაგრამ იმათ კი ვერ იცნეს იგი. არა მიმხედველმა ძმების უდიარად მოქცევისა იოსებმა მანც მიიღო ივინი დიდის სიხარულით, და ბძანა აუწეონ და მისცნენ მათ ზური რავდენიც ითხოვონ. როდესაც მიიღეს ზური იაკობის შვილები მოიქცნენ თავიანთ სახლისაკენვე, არც ფიქრობდნენ თუ ნახეს თავიანთ ძმა იოსებმა.

სები, ამიტომ რომ ვერ იცნეს იგი.

კით. როდის გამოემცნაურა იოსები თავის ძმებსა ?

მივ. ის გამოემცნაურა თავის ძმებს მაშინ, როდესაც

მეორეთ მივიდნენ იგინი ეგვიპტეში ჰურის სას-

ვიდლად. ამ გამოემცნაურებით ისინი ფრიად შეშინდნენ

და კიდევ გაკვირდნენ, მაგრამ იოსებმა მოუაღერა

მათ და უთხრა: «თქვენ გსურდათ, გექმნათ ჩემთვის

ბოროტი, მაგრამ ის ბოროტი მე კეთილად შექე-

ცვალა». შემდგომ უბრძანა მათ, რომ წავიდნენ და

ახარონ რა ეს ამბავი, ჰსთხოვონ კიდევ იაკობს

რომ გარდაესახლათ ეგვიპტეში იოსებთან. იაკობს

ეგონა თავისი შვილი—იოსები, უკვე მკვდარი,

და ამიტომ როგორც გაიგონა რომ იოსები

ცოცხალია, სინარულით შესძახა: «რა ბედ-

ნიერი ვარ! ესლავ ვნახავ საუარელსა შვილსა

ჩემსა იოსებსა, ვეამბორობი მას და მოვკვდები მოს-

ვენებით » დიასრულა რა ეს სიტყვები, მაშინვე

ამხედრდა და გაემკვინა ეგვიპტისაკენ სულ თავის

სახლურებით და საქონელით.

კით. სად დაესახლა იაკობი, როდესაც მივიდა ეკვიპტეში ?

მივ. იაკობი მივიდა რა ეკვიპტეში, სულ—თავის სალობით დაესახლა სოფელს გ ე ს ე მ ს, სადაც იყო უნაყოფიერესი დედაძიწა. იაკობი ჰსცხოვრებდა იქა შვიდმეტი წელიწადი. როდესაც იკრძნო მოახლოვება სიკვდილისა, მისცა ლოცვა-კურთხევა თავის შვილებს და შვილის-შვილებს უანდრძა იოსებს, რომ იმის კვაში შემდგომ სიკვდილისა გარდაიტანოს გამოქუაბილში, სადაც იყო მამა-პაპათ სამარხი ადგილი. უფალმა წინათვე იუწუა იაკობს რაც უნდა მომხდარ იყო იმის შთამამაულობაში და ამიტომ იმანაც წინათვე აუწუა ეველს თავის შვილებს თვითონ თვითოდ იმითი გარდასავალი. უკანასკნელ გარდაიცვალა, როდესაც იყო 147 წლისა.

კით. რა შეემთხვათ ისრაიტელთა იოსების სიკვდილის შემდგომ ?

მივ. იოსების სიცოცხლის დროს ისრაიტელნი ჰსცხოვ-

რებდნენ მშვიდობიანად და უღარდელათ, მაგრამ იმის
სიკვდილის შემდგომ ეკვიპტის მეფეთა იწყეს შეი-
წროება და ტანჯვა მათი; იგინი გამრავლდნენ სამ
მილიონამდინ, ამისთვის ეკვიპტელნი შეფიქრიან-
დნენ, რომ ისრაიტელნი არ აღმატებულ იყვნენ
იმათ რიცხვით, არ გამხდარ-იყვნენ პირველნი ხალხ-
ნი ეკვიპტეში და მფლობელნი მისნი,—იწყეს იმა-
თი დევნა და წვალება, ხოლო შემდგომ გასცეს
ბრძანება, რომ ისრაიტელთ ახლად შობილნი ერძე-
ბი—ვაჟები სულ გადაჭყარონ და მოაშთონ მდინარე
ნ ი ლ შ ი.

კით. რომელი გამოხსნელი ისრაიტელთა იშვა იმ
დროს?

მივ. ამ ისრაიტელთ შეიწროების დროს იშვა მოსე,
რომელიც ღმერთმა აღმოიჩინა იმ ხალხის გა-
მომხსნელად მონებისაგან ეკვიპტელთასა. სამთავრეს
ჭყუარავდა დედა თაჟს სახლში ახლათ შო-
ბილს ერძას მოსეს; მაგრამ უკანასკნელ რო-
დესაც ჩუმათ შენახვა მისი შეიქმნა შეუძლე-

ბელი—მაშინ დედამ მიანდო იმისი ბედი და
იღბალი ღმერთის განკებულებასა: სიფრთხილით ჩა-
აწვინა იგი ლელწმით მოწნულს კალათაში, გაი-
ტანა მდინარის-ნილის ზირსედ და იქ დაუტევა.
ამ დროს ფარაონის ქალი მივიდა, ჩვეულებისა
მებრ საბანებლად მდინარეში, როგორც შენიშნა ის
კალათა, დაუყოვნებლივ გაახსენებინა რა იხივა მასში
მტირალი ყრმა; მსწრაფლ, ამისთანა ზოვნით გა-
ხარებულმა ქალმა წააყვანინა იგი მამის სახლში.
ამ გვაჩად მოსე საკუთარის მასზედ მღმერთის მხრუნ-
ველობითა, მიიყვანეს და აღზარდეს მეფის კარზედ.
კით. რა საქმე მოიხდინა მოსემ რომ წამოიზარდა?
მიკ თუძცა მოსე აღიზარდა ეგვიპტელთ მეფის ფა-
რაონის კარზედ, მაგრამ ის ამით არამითუ არ ამ-
ზარტავნობდა თავის მეერთ-მამულეებთან და ანუ
არ კადრულობდა იმათთან მისვლა-მოსვლასა, არა-
მედ ყოველთვის უყვარდა და იფარავდა, მეტადრე
როდესაც ხედავდა შეიწროებასა და ურიგო ქცე-
ვასა ეგვიპტელების მხრით, მაშინ სიცოცხლესაც

არა ზოგავდა მათთვის, იმისთვის თითონ იმასაც
ეძინოდა ეკვიპტელებისა. უკანასკნელ იძულებულ
იყო, რომ განარულ-იყო იქიდან მადიამის ქვე-
ყანაში.

კით. რა შეემთხვა მოსეს მადიამის ქვეყანაში?

მივ. მადიამის ქვეყანაში მოსე მწესიდა ცხოვართა თავის
სიძამრის იოთორისათა.—ერთ დროს ღმერთი გამო-
ეცხადა მას მკრკვლივ განემდო შემორტყმულს ალით
მაულოვანში და უბრძანა, რომ წავიდეს კვალად
ეკვიპტეში, და სთხოვოს იქ ფარაონს, რომ მან
განათავისუფლოს ისრაიტიელნი მონებისაგან ეკვიპ-
ტელთასა და ნება მისცეს სხვა მხარეს გარდა-
სახლებისა.

კით. როგორ დაიყოლია მოსემ ფარაონი, რომ მან
ნება-დართო ისრაიტიელთ გარდასახლებისა სხვა ქვე-
ყანაში?

მივ. ფარაონს ჰირველად ეძნელებოდა თავის დანე-
ბება იმ ხალხისა, რომელიც თავის შრომითა დიდ
სარგებლობას და შუებას აძლევდა იმის სამეფოს;

მაგრამ მოსემ შესთხოვა ღმერთსა და ათის სხვა და სხვა ნაირი სასჯელებითა რომლებიც ეწივნენ ეგვიპტელთა—იმულებულ შეიქმნენ, რომ ნება დაერთოთ ისრაიელთათვის სხვა მხარეს გარდასახულებისა და მიეცათ თავისუფლება.

კით რა ჰქმნეს ღირსი სახსოვრისა ისრაიელთა ვიდრე აიურობოდნენ ეგვიპტიდგან?

მივ. მათ მღჳთის ბრძანებით იღესასწაულეს ჰასეკი წინა ღამეს, როდესაც სურდათ გამოსვლა ეგვიპტიდგან. დღესასწაული იყო ამ გვარად: კრავს როდესაც დაჰკლავდენ ხომე სერობასედ, ანუ ვახშამსედ უნდა შეეჭამათ მთლივ, რომ მეორე დღისთვის არა გაემოთ რა, ხოლო ძვალნი არ უნდა შეიმუსრათ. კრავი მოასწავებდა ჩუჭნს გამოსხნასა მსხვერპლითა იესო ქრისტესისათა, რომლისა ძვალნი არ შეემუსრნეს. ებრაელნი ჰყოფდნენ ყოველ წელივ ამ დღესასწაულს მოსახსენებელად გამოსვლისა მათის ეგვიპტით. ხოლო სახელდობ ჰასეკი ებრაელის ენიდგან ნიძნავს, კ ვ ე რ დ ზ ე დ

ჩავლას ანუ «მხრის აქცევას». ეს სახელი ამის-
თვის ეწოდება ზასეკის დღესასწაულს, რომ ანკე-
ლოსს ისრაიტელთ გამოსვლის ღამეს უნდა დაე-
ხოცნა სიურძის შვილები ემარწვილები ეგვიპტელთა,
ხოლო ებრაელთ სახლებსთვის კი უნდა ცხა აქ-
ცია, კვერდსედ ჩაეკლო, ერთი სიტყვით, შიგ არ
უნდა შესულიყო და არც ევნო რამე მათთვის.

კით. რა სასწაული მოხდა შემდგომ ისრაიტელთ გა-
მოსვლისა ეგვიპტიდგან?

მიგ. როდესაც ისრაიტელთ, სამი დღის მოგსაურობის
შემდეგ მიახწიეს მეწამულის, ანუ წითელის ზღვის
პირამდინ, მაშინ ფარაონმაც იგრძნო, რომ ეგვიპ-
ტეში მუშაობა შესდგა, დაენანა ნების მიცემა ის-
რაიტელთ ეგვიპტიდგან გარდასახლებისა, მსწრაფლ
ამხედრდა და თავის ჯარით დევნა უყო მათ, ის
მოეწია ზღვის პირსედ, როდესაც იევენენ დაბანა-
კებულნი. ისრაიტელნი იმ კვარად შემრწუნდნენ,
რონ სიცოცხლის იმედი აღარა ჰქონდათ. დაუწ-
ვეს ეველამ მოსეს ევედრება, მაგრამ მოსემ გა-

ამხნევა იგინი, რომ თუ ღმერთს ილოცავენ იგი
შეეწევა მათ და გამოიხსნის კელთაგან ფარაონის-
ნისათა. მართლაც ცოტახნის შემდეგ, ღმერთის შთა-
გონებით, მოსემ დაჰკრა კვერთხი ზღვაზედ. მსწრაფლ
ზღვა მეწამული განიხო ორად ესე, რომ ისრაი-
ტელთა განვლეს ზღვის ძირი როგორც ხმელეთ-
ზედ. ეგვიპტელთაც მოიწადინეს უკან გამოვიდებო-
მათი, მაგრამ როგორც ისრაიტელთა განიარეს,
ზღვამ ორ-კერძოდ განყოფილმა, კედლის მსგავ-
სად, შეჰკრა ზირი და შთანთქა თვის შორის ფა-
რანის ყოვლის მხედრობითა და ლაშქრითა. ერი
ისრაიტელთა საკვირველად გამოხსნილი კელთა-
გან ფარაონისათა, შეუდგა მგზავრობასა უშენო და
სრულიად უნაყოფო არაბეთის ვაკეზედ, სადაც არა
ჰქონდათ არა ვითარიმე ბუნებითი სასრდო არამედ
ღმერთი საკვირველად წსრდიდა მათ ორძოცი
წლის განმავლობაში.

შეოთხე ჰეროდო.

ისრაელთა გამოსვლიდგან ეგვიპტით შეუე საულამდინ, 660 წ.

კით. როგორი მსრუნველობა მიიღო ღმერთმა ისრა-
ელთა ზედა ჟამსა მათის მოგზაურობისასა ?

მიგ. ღმერთი განსაკუთრებით იფარვითა თავის ხალ-
ხსა: ყოველ დილით გარდამოუვლენდა ზეცით მან-
ნას, რომელიც მოდიოდა ცვარის მგზავსად და
ჰქონდა მეტად კარგი გემო. ხან და ხან მოუვ-
ლენდა მათ ღმერთი უთვალავ რიცხვს მწერებსა.
მახლობელ ქორეების მთისა, სადაც სრულიად
არ იყო წყალი, მოსემ, ღმერთის ბრძანებით, ჰქმნა
სასწაული: დაჰკრა მან თავის კვერთხი ნვას და
მსწრაფლ იმოდონა წყლის ნაკავადულმა გამოხეთ-
ქა, რომ სულ ყველამ-ხალხმაც და ჰირუტეუთაც
წუწუვილი მოიკლეს.

კით. რა შეემთხვათ ისრაელთა სინას მთის მახლო-
ბელად ?

მიგ. მეერვასესა, ანუ ორმოც და მეათესა დღესა, რო-
დესაც ისრაელნი მიახლოვდნენ სინას მთასა, მა-

შინ მოსემ გამოუცხადა მათ, რომ ისინი ღირსეულად მოემსადნენ, რადგანაც ღმერთს უნდა ჰირდა-ჰირ ელახარაკნა მათთან. ხოლო მთერთლვარე ხალხმან რა ვეღარ შესძლო ჰირის-ჰირ ღმერთთან ღახარაკი, მოსესა სთხოვეს ერთჰირათ ეველამ, რომ მარტო იმან იღახარაკოს ღმერთთან იმათ მაკიერად და აცნობოს ისრაიტელთ რასაც კი უფალი ინებებდა ბრძანებასა. თხოვნისა მებრ ისრაელთა მოსე ავიდა სინას მთაზედ და იქ იმყოფებოდა ორმოც დღესა და ღამესა უჭმელ-უსმელი. მაშინ იქ იხილა ღმერთი, უბნობდა მასთან და მიიღო მისგან ორი ქვის ფიცარნი ზედ დაწერილის ღუთის რჯულით, ათ მცნებათ.

კით. როგორ მდგომარებაში ნახა მოსემ ისრაიელნი,

როდესაც ჩამოვიდა სინაის მთიდგან ?

მიგ. მაშინ როდესაც ის იმყოფებოდა სინაის მთაზედ, ისრაელნი მთაცვივდნენ კერძთ-თაყვანისცემაში. მათ ჩამოასხეს ოქროს სბო—ისარებდნენ და ცეკვაუდნენ იმის გარემეძო, ეგონათ ვითომც ის იყო

მწავალთა საიდუმლოთა-თჳს. აქა განეფინა მისთჳს დიდება, რომელ იგი
არს ქალწული და ღედა ღმერთისა, აღსებული მადლითა და სათნოებითა
ყოველითა. მოგვითხრობენ, რომელ იგი დევნულებასა და უბედურებასა
შინა არს მოხარულ მარადის; ყაშსა ვითარისამე ნაკლულევანებისა და სი-
გლახაკისასა არა განჩისხდების; მასწინებელთა და მაჭირებელთა ზედა
მისთა, არათუ არა განჩისხდების, არამედ კეთილსაცა უყოფს მათ, კე-
თილ-შემთხვევასა შინა წყნარ არს; ღარბობადმი არს მოწყალე და შეე-
წყვის მათ ვითარ და რაოდენცა ძალუძს. მტკიცედ სდგას საწმინდობა-
სა ზედა წინააღმდეგ მტერთა მისთა და კაალად ჩუქნის ჭაბუკების კე-
თილ-მსახურებისა არს მოძღვარი და მასწავლებელი ყოველთა კეთილთა
საქმეთა ზედა. უმეტეს ყოველთა უყვარს მშვიდნი; მით რამეთუ თჳთ
აღსავსე არს სიმშვიდითა. და მხილველნი მისნი მწავალთა ქებათა შეს-
ხვენ მას; მოთმინება მისი არს დაუსრულებელ, რაყაშს კვიცხვიან მას
მოძღვარნი ჭუჩიათა და ფარისეველთანი. მისთჳს მოგვითხროს ჩუქნ ღიარს
საწმინდობათა ერთა, ვითარმედ სიწმიდისა მისისაგან სჩანს, რომელ მას
შინა შეერთებულ-არს ბუნება ანგელისისა კაცობრივისათანა. და ყოველ-
თა ამათ განაღვიძეს ჩუქნ შორის სურვილი უზომო ხილვად ზეციური-
სა ამის სასწაულისა და ესოდენ განსაცვიფრებელისა სიწმიდისა. «მეორე
ეპისტოლეში იგივე ეგნატე ღმერთ-შემოსილი ჭსწერს იოანე ღმერთის-მე-
ტეუჭლისა მიმართ: «უკეთუ მექმნების მე დრო მოვალ შენდა. რათამცა ვი-
ხილნე ყოველნი წმიდანი შეკრებულნი შენთანა, გარნა უმეტეს ყოველისა
მსურის მე ხილვად ღედისა იესოსა, რომლისთჳსცა უბნობენ, რამეთუ
იგი ყოველთა შორის განაღვიძებს განკვირებასა და მისდამი ჰატვიის-
ტემასა და სიყვარულსა, და ყოველთა შორი აღენტების სურვილი ხილ-
ვისა მისისა. ვითარღა უკუჭ არა ვისურვო მეცა ხილვა ყოვლად წმიდი-
სა ქალწულისა და საუბრობა მისთანა, რომელმანცა შუა ჭეშმარიტი ღმერ-
თი? «ამათ ეპისტოლეთაგან ჭსჩანს, რომელ ფრიად სუროდათ წმიდა-
თა ხილვა განხორციელებულისა კარვისა საწამებელისა, ყოვლად წმიდისა
ქალწულისა მარიაშისა. და ვითარნიცა უკუჭ ეღიარებოდინ ესრეთსა ბედ-

ნიერებასა, იგინი წაცხდენ თაკთა თჳსთა ნეტარად, და ჭეშმარიტად ნეტარცა იყენეს თჳსნი, მხილველნი მისნი, შემდგომ ქრისტეს მაცხროვისა, და ყურნი, მსმენელნი ღმრთაებრივთა ბაკეთა მისთაგან ცხროველს შეფუთელთა სიტყუათა ! ამისათჳს დაუტოვებდა უფალმან ჩუენმან ქუენსა და ზედა ცხროვლად დედა თჳსი, წათამცა თანა-აწსობითა მისითა, ჩჩუკითა, სწავლითა და მხურვალეთა ძლით ცრემლთა მისთათა მისა და ღმრთისა მიმართ, ბრძოლვილი ეკლესია და მტკიცდეს, განმრავლდეს, გახილავდეს და ვიდრე დათხევადმდე სისხლისა დაადგრეს უფლსა თჳსისათჳს. ესრეთ ყოვლად წმიდა მადლითა სულისა წმიდისათა ყოველთა განაძლიერებდა, ყოველთა ნუგეშინისტემდა და ყოველთა-თჳს ილოცვიდა. ოდესცა წმიდანი მოციქულნი შეაყენეს საზურობილესა, ყოვლად წმიდამან ილოცა მათთჳს და უფალმან მოუკლინა მათ ანგელისი, წათამცა განუხვნას მათ ღამით კარნი საზურობილისა და გამოიყვანეს იგინი. ოდესცა წარყვანეს წმიდა პირველ-მოწამე სტეფანე სასიკუდინედ, მაშინ ღმრთის-მშობელი მისდევდა წა მას შორით და დაჭკრებდენ წა მას ქუენსა ღელესა შინა ილხათაგანსა, ნაღვარკესა-კედრონისასა, სდგა ბოტცესა ზედა წმიდისა ილხათურით და უმხილდა აღსასრულსა მისსა და ძლიერად ეკედრებოდა უფლსა, წათამცა განაძლიეროს მან იგი სატანჯველსა შინა მისსა და მიიღოს სული მისი; და ოდეს აღბრუნებული საულებრა ჰსდევნიდა ეკლესიასა, მაშინ ყოვლად წმიდამან აღუკლინა ესოდენ მხურვალენი ღოცვანი მისთჳს უფლსა, რომელ იგი ვითარცა მძვინვარე მკელი შეიქმნა კრავად, იყო მტერი და იქმნა მოციქულად, იყო მღვანელი და შეიქმნა მოწამედ ქრისტესსა და მოძღვრად ყოვლისა სოფლისა. და ვითარნი ეთილ-მოქმედებანი აწა მოჭთინნა ყოვლად წმიდამან ეკლესიასა. და ვითარცა ყრმამან დედისა თჳსისაგან, ვითარნი აწა აღმოივსნა ნიჭნი მისგან, ვითარცა წყაროისაგან წყალთასა მოუკლებულად მომდინარისა ? მოღვაწეობითა და მადლითა მისითა ეკლესია აღიზარდა და შევიდა საზომსა მამაკაცისა მდგომარეობისასა და ესრეთ განამტკიცა იგი, რომელ ვერცა ზეტეთა ჯოჯოხეთისათა შეუძლონ ძლევა მისი. ხედვიდა წა ყოველ-

სა ამას დედა ღუთისა აღიკვებოდა გამოუთქმელითა სინაწულითა, ვითარცა დედა, სიტყუისამებრ დავითისა: « ზი ! შვილთათჳს მოხარულა: მით, რამეთუ ხედვიდა იგი მარალაჲ განმრავლებასა შვილთა ეკკლესიისათა, ხედვიდა ვითარ ზირველითა ზეტრეს ქადაგებითა მოიქცა სამი ათასი კაცი, შემდგომ ხუთი ათასი და დასასრულ ურცხვი. წმიდანი მოციქულნი ოდეს მოიქცეოდნან ქადაგებიდამ, მოუთხრობდეს მას განკრცელებისათჳს ქრისტეს ეკკლესიისა, ყოვლად წმიდა ღუთის-მშობელი განიხარებდა მისთჳს ფრად და შესწირვიდა ქებასა ღმერთსა და ძესა მისსა.

რამეს იროდი ხელი მიჭყო ძვირის ყოფად, რომელთამე ეკკლესიისათჳს და იაკობ ძმა იოანესი მოაკუდინა მახვილითა, მოწაიქცა იგი ისპანიით; მაშინ განიზრახა ესრეთვე ზეტრეს-თჳს, შეჩაიზურა იგი შეაყენა საზურობილესა, რომლისგან სახითა სასწაულებრივითა გამოიყვანა წმიდა მოციქული ანგელოსმან; მაშინ თჳთ უმთავრესთაცა მოციქულთა დაუტევეს იერუსალიმი მძვინვარისა დევნულებისაგან ჭურიათასა, განვიდნენ იგინი სოფლად და ჭყარეს ზირველად წილი, თუ ვის რომელი მხარე შეხვდების და უწინარეს განსულისა მათისა შეადგინეს მათ სიმკლელ საწმუნოებისა, რათამცა ყოველთა იქადაგონ ერთი და იგივე ყოველსა სოფელსა და თანახმად დანერგონ საწმუნოება ქრისტესი. თვითოეული მათგანი წარვიდა მუნ, სადაცა უჩუჭნა მხვედრმან; გარდა წმიდის იაკობისა, ძმისა ღუთისა, რომელიცა დაადგრა იერუსალიმს და იყო ზირველი ეპისკოპოსი იერუსალიმისა, დადგენილი თჳთ იესოს ქრისტეს მიერ. გარდა ყამსა მას თჳთ იოანე ღუთის-მეტყუელმანცა და ყოვლად წმიდამან ღუთისა დედამან დაუტევეს იერუსალიმი, რათამცა განერეს ფიცხელისა დევნულებისგან, აღსილთა შურითა და ბოროტებითა ჭურიასათა. და რათამცა არა დაშთნეს იგინი უქმად, წარვიდნენ იგინი ეფესოდ, რომელიცა იყო ადგილი აღნიშნულ იოანესთჳს. მეოფობისა-თჳს წმიდის ღუთის-მშობლისა იოანესთურთ ეფესოსს შინა, წერილ-არს ეპისტოლესა შინა მიწერილსა კონსტანტინე-პოლის ეკკლესიისადმი მესამის მსოფლიოს კრებისა მიერ, ყოფილისა ეფესოსს შინა წინააღმდეგ ნეს-

ტოჩისა, და აჭა ჩასა მოგვითხრობს იგი! «ნესტორ, მომზებელი ბო-
როტ-მსახურებისა მწკალებლობისა ეფესოსა შინა, სადაცა ოდესმე იუ-
ჟნეს წმიდა ღმთის-მშობელი და წმიდა იოანე ღმთის-მეტყუელნი, იუ-
მოწოდებულ მუნ განსჯად წმიდათა მამათა მიერ, გარნა იქეჟნებოდა იგი
სინდისისა-მიერ თვისისა და ვერ იკადრებოდა გამოცხადება მათდამი შემდგომ
სამგზის მოწოდებისა, რომლისათვის წმიდა კრებამან სამართლად განზა-
ტოყა იგი და განაყენა მღუდულობისაგან. » სიტყუათა ამით მიერ წარმო-
ბინების, რომელ იოანე ღმთის-მეტყუელნი და ყოვლად წმიდა ღმთის-
მშობელი განუშორნეს რა იერუსალიმით, ჭკიებდნენ რომელსამე უამსა
ეფესოსა შინა. ეგრეთვე სხუათა შინაცა ქალაქსა, ყოვლად წმიდა ღმთის
მშობელი განანათლებდა მიბრძანებითა თვისითა ახლად-მოქცეულთა ქრის-
ტიანეთა, იგი იუო ანტიოხიასა შინაცა ხილვად ეგნატე ღმერთ-შემოსი-
ლისა, რომელსაცა ესრეთ მისწერა: «მოკალ იოანეთურთ და გინილავ შენ
და ყოველთა მათ, ვინანიცა აწ შენთანა აჩიან. « იგი იუო კიზჩსა შინა-
ცა ლაზარესთანა ოთხის დღის მკუდრეთით აღდგენილისა, რომელი ების-
კოპოსად იუო მუნ დადგინებულ, მთასა ზედა ათონისასა, რომლისა თვის-
ცა ესრეთ მოგვითხრობს სტეფანე მოხუცებული:

« შემდგომ ამაღლებისა უფლისა ჩუქნისა იესოს ქრისტესსა, ყოველ-
ნი მოწათენი ბრძანებისა მეტრ მისისა იერუსალიმით განუშორებით იუ-
გნეს შეკრებულ სინაის მთასა ზედა დედისა უფლისა მარიამისთანა. და
მოკლდნენ აღთქმულსა მათდა ნუგეშინის-მცემელსა. ოდესცა უკუწ მათ
განიგდეს წილი, თუ ვის რომელი მხარე შეხედების ქადაგებად სახარე-
ბისა, ყოვლად-წმიდა ქალწულმან ჭკქუა მათ: « მეცა თქუწნთანა მნებავეს
ალებად წილისა, რათა ვსცნა, რომელსა მხარესა განმიწესებს მე ღმერ-
თი: » მიიღეს რა სიტყუა დედისა ღმთისა, მათ კეთილ-მოწიწებით ჭყარეს
წილი და მას შეხვდა ქუჭყანა ივერიისა, (რომელიცა აწ არს საქართვე-
ლთ). ყოვლად წმიდამან განიხარა წილ-ხდომისა მისთვის და შემდგომ
სულის წმიდის მიღებისა, რომელიცა მსგავსად ცეცხლისა მათ მიუფი-
ნათ, ისურვა წარსულა მხარესა ივერიისასა. გარნა ანგელოსმან ღმთი-

სამან ჭრჭრას მას: ანუ განეშორები იერუსალიმით, მხარე, სადაცა წარსლა გსურის შენ, განათლდების უკანასკნელთა დღეთა და მეუფება შენი დამტკიცდების მუნ. შემდგომ ჩაოდენისამე უამისა მზრუნველობათა შენთა მიგელის სხუა ჭრჭრას, რომელსაცა თვთ ღმერთი მიგიყვანს შენ. აჲა ჩადასათვს დაშთა ყოვლად წმიდა გრძელს უამისა იერუსალიმისა შინა.

ოთხის დღის აღდგენილსა ლაზარეს, რომელიცა იყო ეპისკოპოსად კიზიკიის ქალაქსა შინა, სადაცა ხელი დაასხა მას მოციქულმან ბარნაბა, თუჩად სურდა ხილვა დედისა უფლისა თვისისა; მრავალსა უამისა აჩლარა ეხილა იგი, თვთ ვერ იკადრებდა წასკლასა იერუსალიმს შიშისაგამო ჭურჩათა. ჭსტნა რა ესე ყოვლად წმიდამან მისწერა მას წერილი ნუგეშინისტემისა, რომლითაცა მოითხოვდა მისგან წარმოგზავნასა ნავისასა, და თვთ არა მოვიდეს იერუსალიმს. წარვიტხა რა ესე წერილი ლაზარე გამოუთქმელად განიხარა, და თუჩად დაუკვირდებოდა სიმდაბლესა მისსა. და მტკიედცა არა დაყოვნა წარგზავნა მისდამი ნავისა წერილითურთ. ყოვლად წმიდამ წარვიტხა რა იგი, შევიდა ნავსა მას საყვარელისა ქრისტეს მოწათვის იოანეთურთ ქალწულისა, და სხუანიცა რომელნიმე წარვიყვანა თვსთანა, ვინანიცა შეუდგებოდეს მას კეთილ-მოწიწებითა და ყოველნი ერთად მოგზაურობდეს კერძოდ კვიზიკესა. გაჩნა აღმოხდა ძლიერი ქარი და წარიტაცა ნავი ათონის შთის კერძოდ, ღვაწლი ესე წინასწარვე თქმულ-იყო ანგელოზისა მიერ ყოვლად წმიდის ღმერთის-მშობლისადმი. ხოლო ათონის შთა მასშინ იყო სავსე კერძებითა; მუნ იმოუფებოდა თუჩად დიდი ტანარი აზოლოზონისა (ესე იგი წარმართთა კერძასა), რომელსა შინა აღესრულებოდა სხუა და სხუანი მანქანებანი, ცბიერობითნი გამოცნობანი და სხუანი მოქმედებანი სათონი არა წმიდათა სულთანი. ელლანი პატრის-სტემდენ აღვილსა ამას, ვითარცა აღჩიეულსა რასამე განსაწმედელსა; ერნი მრავალნი მიილტოდნიან მუნ თაყუნისა-ცემელად და ყოველნი მიიღებდენ პასუხსა თვთოულსა კითხვასა ზედა თვსსა მისანთაგან. მიეახლა რა კიდესა წყლისასა, ყოვლად წმიდა ღმერთის-მშობელი, ყოველთა კერძთა ხმითა დიდითა ღაღადჭუკეს. «თქუწნ ერნო

მაცდუნებულნი ავბოლოების მიერ! ისწრაფეთ, გარდამოხედით შიშით და წარკედიით კლიმენტის ნაკთსაყუდელად და მიიღეთ მარია, დედა დიდისა ღმრთისა იესოსი. « ეშმაკნი, მეოფნი კერპებთა შინა წინააღმდეგებისა თვისისა იძულებულ-იგნენ ძალათა ღმრთისათა განცხადება ჭეშმარიტებისა ესრეთ, ვითარცა გენესარეთის მხარესა ლაღაღჭევეს მათ უფლისა მიმართ: « რა არს შენდა და ჩუქნდა, იესო ძე ღმრთისაო! მოხვედ აქა უწინარეს ყამისა ტანჯვად ჩუქნდა. « ესმათ რა სიტყუანი კერპებთა, ერნი განსტვიფრდა, და ყოველთა ისწრაფეს კიდესა ზღვისასა ნაკთსაყუდლისადმი. იხილეს რა ნაკი და დედა ღმრთისა, დიდის ჰატვიით მიიღეს იგი და ჭკითხეს: « თუ ვითარ შუა მან ღმერთი და ვითარ უწოდებენ მას? « ყოვლად წმიდამ, აღახვანა რა ღმრთაებრივი ბაკნი თვისნი, აუწეს ერსა ყოველივე დაწვლილებით იესოს ქრისტეს-თვს, და ყოველნი დაეცნენ ქუჩუანასა ზედა და თაყვანისცეს ღმერთსა მისგან შობილსა; ხოლო ყოვლად წმიდას აჩუნეს ყოველი დიდება და შემდგომ იწმუნეს რა, ნათელ-იღეს. მუნ მრავალნი სასწაულნი ჭქმნა დედამან ღმრთისამან. შემდგომ მონათულისა, დაადგინა მან მთაკრად და მოძღვრად ახალ-განათლებულთა ზედა ერთი თვისთიგანი, მეოფი მისთანა და იოანესთანა ნაკსა შინა. მამინ განიხარა სულითა და ჭრქუა: « და იუოს ადგილი ესე მხვედრად ჩემდა, ესე მოცემულ-არს ჩემდა ძისა და ღმრთისა ჩემისა მიერ. » შემდგომ ამისა, აკურთხა რა ერი, კვალად განაგრძო: და იუოს მადლი ღმრთისა ადგილსა ამას ზედა და მათ ზედაცა, რომელნიცა სცხოვრებდეს აქა საწმუნოებითა და კურთხევითა და დაიცვან მცნებანი ძისა და ღმრთისა ჩემისანი! ყოველნი სახმარნი და საჭირონი ქუჩუნიურისა ცხოვრებისა-თვს ექმნებისთ მათ უხვებით მცირის შრომითა, და განმზადებულ-ექმნება მათთვს ზეციერი ცხოვრება, და არა მოაკლდეს მათ წყალობა ძისა ჩემისა და ვიდრე დასასრულადმდე სოფლისა და ვეკები შემწედ მოვარეულად და მხურვალე შუამდგომელად ადგილისა ამის წინაშე ღმრთისა. » ჭსთქუა რა ესე ყოვლად წმიდამან კვალად აკურთხა ერი და შევიდა ნაკსა მას შინა იოანეთურთ და რომელთამე სხუათა და წარვიდეს კიზრად.

სადაცა ჭბოვას ლაშარე დიდსა მწუხარებასა შინა, ესე ვითარისა დაყოვნებინა-თჳსა მათისა გზასა ზედა, ვინაჲდგან, არა რა იტოდა მან ყოვლისა ამის საკუთარის განწესებისამებრ უფლისა ღმრთისა შემთხვეულებისა-თჳს. იშიშვოდა, ნუ უკუჩქ შეემთხვია მას ზღუასა ზედა ვითარნიმე განსაცდელნი ქარისა-მიერ. გარნა მწუხარება მისი შეიტკვალა სინარულად, რდეს იხილა მან მრავლის ყამითგან სანატრელი განმანათლებელი. ყოვლად წმიდამან მიუძღვნა მას რმთვარი და სამკლავები (ანუ საბუნჩე), ქმნილნი ხელთა მისთათა. მოუთხრა ყოვლი შემთხვეულება იერუსალიმსა შინა მთასა ზედა ათონისასა და ყოველისა მისთჳს, შესწიწირეს ერთსულობით მადლობა ღმერთსა. გარნა დაადგრა კიბჩეს დედა ღმრთისა გრძელ ყამიერ, აკურთხა და ნუგეში ჭსტა იქაურსა ეკკლესიასა. კვალად შევიდა იგი ნავსა და უკუნძეტა იერუსალიმს.» ამით დასრულდების წმიდის სტეფანის მოთხრობა ღმრთის-მშობლის მოგზაურობისა-თჳს.

ყოვლად წმიდა ქალწულმან განანათლა რა ზემოთ აღრიცხულნი მხარენი, კვალად დაემკვიდრა იერუსალიმს და იყო სახლსა შინა იოანე ღმრთის-მეტყუჩლისასა სიონსა შინა. ყოვლად ძლიერი მარჯვენე ღმრთისა ჭთარვიდა შურისგან ღმრთის-მკულელის ჭურჩათა შესაკრებულისასა, რომელიცა კვალადცა არა დააყენებდა მტეობასა მისა ღმრთისასა და მოწმუნეთა მისთასა. განშორებულნი ჭურჩიანი რდეს ვერ მოითმენდნენ სიტყვას დადის იესოსა და მოაკუდინებდნენცა მას უკეთუ არა დაეტკას ყოვლად წმიდა საკუთარს მხედველობასა ღმრთისასა, რომელიცა არა მიუშვებდა ხელსა ურწმუნოთასა შესებად ცხოველისა ამის კიდობნისადმი ღმრთისა. ესრეთვე იყო მისა მისისა ქრისტეს თანა უფლისა ჩუძნისა ნაზარეთსა შინა, მამულსა მისსა რდესცა ყოველნი ჭურჩიანი მყოფნი შესაკრებელსა შინა აღზავდენ და წარიყვანეს იგი მთასა ზედა მაღალსა, რათამცა გარდაგდონ მუნით; გარნა განულო რა მათ შორის და განშორდა, და შურის მეძიებელთა ვერ შეუძლეს აღებად მას ზედა მწკალებელთა ხელთა თჳსთა და ვერცა ვინ იკადრა შესებად მისდა, მით რამეთუ ძალი ღმრთის მას უხილავად დაითვარვიდა, ხოლო მათ იზურბდა

მისგან, რამეთუ არა მოწევნულ-იყო ყამი მისი. მსგავსითავე სახითა იცავდა უფალი ყოვლად წმიდასა დედასაცა თვისსა, განაშორებდა ბოროტთა სატანჯველთა ჭურჩათასა წინააღმდეგ მისა და მრავალ-გზის დაარღვიან უწმინდურნი განზრახვანი და შეთქმულბანი მათნი წაწსაწყმედელად ყოვლად წმიდისა ქალწულისა. და ესრეთ ჭსტხორებდა იგი იერუსალიმსა შინა, ვითარცა ცხორავრი საშუალ მკვლთა, ვითარცა ზამბახი საშუალ ეკლთა, და მით განამართლებდა თქმულსა წინაპარისა თვისისა დაკითხვისა, რომელსაცა იგი ხშირად განამეორებდა: «უფალი ნათელ ჩემდა, ჭმაცხორავრი ჩემდა ვისა მეშინოდეს; უფალი შესავდრებულ-არს ცხორებობისა ჩემისა, ვისგან შევსძრწუნდე, განთუ ეწეოს ჩემ ზედა ბანაკი არა შეეშინოს გულსა ჩემსა, აღთუ დგეს ჩემ ზედა ბრძოლას ამისთვისცა მე შენ გესაუ.» (ფსალ. 66). ვიდრდილა თუ შორის აჩრდილთა სიკრდილისათა არა შემოშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ღმერთო და ძეო ჩემო ჩემთანა ხარ. (ფსალ. 68.)

განგლო რა ორმოც და ათმან წელმან შემდგომ ქრისტეს ამალაგებისა, მოვიდა ხილვად და თაყვანისცემად ყოვლად წმიდისა წალწულისა დიონისი არქეპაგიელი, რომელიცა მოაქცია წმიდა მოციქულმან პავლე ათინასა შინა. ფრიად სურზოდა მას ხილვა დედისა ღმრთისა, და დაჰყო რა სამი წელი განუშორებლად პავლე მოციქულისათანა მოძღვრისა თვისისა წარემართა კურთხევითა მისითა, იერუსალიმს საკუთრად მისთვის, რათა იხილოს მრავლით ყამითგან სასატრეული, და იხილა რა აღივსო სულიერის ნუგეშითა, და ესრეთ მისწერა მოციქულსა პავლეს:

«აღვიარებ წინაშე ღმრთისა, ჰი! დიდებულო მოძღვარო და წინამძღვარო ჩუქნო, რომელ მე ჯერათაცა არა ვიყავ დაწმუნებულ შესძლებულ თუ იყო ვისდამე ესრეთ უხვად აღვსება ღმრთაებრივთა ძალთა და საკვირველისათა მადლითა, გარდა თვით უხენაესისა ღმრთისა. არა ვითარისამე კაცისა გონებითა თვისითა არა ძალუძს მიწითამა მისი, რადცა მე ვიხილე არა თუ სულიერითა, არამედ ხორციელთაცა თვალითა ჩემითა. ვიხილე მე თვალთ ჩემითა მსგავსი ღმრთისა, უმაღლეს ყოველთა ზეცმიწთა სულთა უუწმი-

დესი დედა იესო ქრისტესი, უფლისა ჩუქნისა. მე ამას კელიძსე საკუთარისა მადლისა მიერ ღუთისა კეთილნებობითა უმაღლესისა მოციქულთა შორის და აღუარებელის მადლითა და მოწყალეობითა თვით ყოვლად-წმიდის ქალწულისათა. კვალად აღვიარებ წინაშე ყოვლად შემძლებლისა ღუთისა, წინაშე მაცხოვრისა და წინაშე დიდებულისა ქალწულისა დედისა მისისა მას, ოდეს იოანე უმაღლესმან მოციქულმან და უდიდესმან წინასწარმეტყუელმან, მნათობმან ქუჩყანასა ზედა, ვითარცა მზე ცათა შინა, მიმიყვანა მე წინაშე ჰიქსა ყოვლად-წმიდისა ქალწულისა, მაშინ მე განმარწეინვა, არა მხოლოდ გარეგან, არამედ შინაგანცა დიდმან და უკუდავმან ღუთაებრივმან ნათელმან, და გარეშემო განეფინა ესრეთი საკვირველი ნელსაცხებელი და კეთილ-სუნნელება, რომელ ვერცა უძლურმან სხეულმან ჩემმან და ვერცა სულმან ჩემმან ვერა შეუძლეს გამოტანა ესრეთის სსწაუღითის ნიშებისა და საუკუნოს ნეტარების დასახამისა. მოუძლურდა სული ჩემი და დასუსტდა გული ჩემი დიდებითა და საღმერთობითა მადლითა მისითა, გეფუცები თვით ღმერთისა შობილსა ქალწულებითის საშოახსაგან მისისა, რომელ უკეთუმცა არა ყოფილ-იყოს ღუთაებრივი ჭსწაუღანი შენნი და ჭსჯუღნი დაუკიწებელ მესიერებასა და ახალ-განათლებულსა გონებასა შინა ჩემსა, მაშინ მე აღვიარებდიცა მას ჭეშმარიტად ღუთად და ჰატვისცემდი მას თაყვანისცემითა ესრეთ ვითარცა ჯერ არს მიცემად მხოლოდ ერთისა ჭეშმარიტისა ღუთისა კაცსა არა ძალ-უძს მიწოთმა ნეტარებისა, ჰატვისა და დიდებისა უმეტეს დიდებისა მის, რომელსაცა აწ მე კელიძსე, ვიხილე რა ყოვლად-წმიდა. ვიყავ მე მაშინ სრული ბედნიერი. ვმადლობ უუზენაესსა ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, საღმერთსა ქალწულსა და ყოვლად დიდებულსა მოციქულსა იოანეს და შენ უმაღლესსა მთავარსა ეკკლესიისსა, მისთვის რომელ მიხვენი შენ უუმაღლესი კეთილ-მოქმედება. «ესრეთ ჭსწერს ეპისტოლესა შინა თვისსა წმიდა დიონისი». ეპისტოლისა ამისგან შესაძლო-არს ვიხილოთ და გულის-ხმა-კჭყოთ, თუ ვითარა მადლი აქვნდა ყოვლად-წმიდასა დედასა ღუთისასა, ოდეს ჭსცხოვრებდა იგი ქუჩყანასა ზედა; ვითარ განანათლებდა

იგი სულთა და ვითარითა სულიერის სიხარულითა დაატკობდა გულთა მათთა, რომელნიცა ეღიწებოდნენ ხილვასა მისსა ხორციელად. მრავალნი ახალ განათლებულნი ორისაკე სქესისა მოვიდოდნენ მისდამი ყოველის მხრით. ვითარცა ჭეშმარიტი ღება, იგი ყოველთა თანასწორ მიიღებდა, ახარებდა და ყოველთა მიჭებდა მადლსა მისსა. სნეულთა განჭკურებდა, უძლურთა სიმართლესა მიანიჭებდა, მწუხარეთა ნუგეშინისცემდა, ცოდვილთა მოაქცევდა და ყოველთა დამტკიცებდა საწმუნოებასა შინა, სასოებასა შინა განაძლიერებდა და მიჭებდა ყოველთა სიტკობებასა საღმრთოსა სიყვარულისასა.

წმიდა ამკრთობი გამოხატა თვისებანი ყოვლად-წმიდისა ქალწულისა ყამისა ქრისტეანიერად ცხარებისა მისისასა შემდგომითა სახითა: «იგი იყო ქალწულად ანათე მხოლოდ ხორცილთა, ანამედ სულითაცა. გული მისი იყო აღვსებულ სიმშვიდითა; სიტყუაში იყო ღვთივ გონიერი, ღაზანაკში წყნარი; მარადის განაგრძობდა წიგნის გითხვასა; შრომითა შინა მღვიმარე; საუბარსა შინა წყნარ და ბრძენ და თითქმის ყოველსა ყამისა თანამოხარებულად ღვთისათანა და ანა კაცთა თანა; ანა ვისამე აწყინებდა, ანამედ მარადის სურდა ყოველთა თვის კეთილი, ანავის შეუჩინებ ჭყოთდა ანცადა თვთ გლახასა კაცსა, ანცა ვისმე განჭკიცებდა; ყოველსა შინა ხედვიდა მხოლოდ კეთილსა. ბავთა მისთავან აღმოვიდოდა მხოლოდ სიტყუანი მადლისანი, ხოლო საქმეთა შინა მისთა ცხად იქმნებოდნენ სიწმუნება და ქალწულება. გარეგანი სახე მისი წარმოაჩინებდა შინაგანსა სიხარულსა მისსა, გამოხატვიდა რა კეთილობასა და მოწყალებასა... ეზიფანეს და ნიკიფორეს აღწერასა შინაცა წერილ ანს, სულიერი და ხორციელი მშვენიერება მისი. და ანა ვითარძი აღწერენ მას იგინი: «თვთოეულსა საქმესა შინა იყო იგი საკსე მშვიდის დიდებულებითა და იყო მტკიცე, უხნობდა ფრიად მტრედ მხოლოდ საჭირებისათვის, და სიტყუანი მისნი იუფნეს ტკბილ; სურვილით მოისმენდა სხუათა სიტყუათა და ყოველსაკე აძლევდა ჭეროვანსა პატივისცემასა. მეტყუებდა მარადის კეთილ შესაბამად, იგი ანა ოდეს ანცა იცინოდა და ანცა შემ-

ფოთნებოდა. ქტევას მისი იყო წყნარნი და არა მრისხანე. ჭსასკითა იყო
 საშუალო, ფეცი პირისა მისისა იყო, ვითარცა ფეცი იფქლის მარცვლისა; თმა
 ბრწყინვალე წახლის ფეცი, თქალნი ცხადნი, მხედველობა მკეთარი, წამ-
 წამნი მსგავსნი ზეთის ხილის ნაყოფისა; წარბნი რადენმე მოხრილნი
 და შავნი; ცხვირი არა მოკლე; ბაკენი, მსგავსნი ვარდის ყვავილისა და
 ტკბილ გამომეტყუებლნი; პირი მოგრძე და თითნიცა მოგრძენი. არა
 იზრებოდა მას შინა არცა მცირედი ამჟამტავნება, არამედ ყოველსა მარ-
 ტივობა და პირუთნებლობა; არა ჭქონდა არა ვითარმე სიზადე, არამედ
 ყოველსა შინა სრული სიმშვიდე. სამოსელი მისი იყო მარტივი და არა
 სიჭკელით განშვენებული. რამელისა დასამტკიცებელად მსახურებს სა-
 ბურველი, რამელიც ვიდრე აქამომდე დატულ არს. ერთის სიტყვით ყო-
 ველთა საქმეთა შინა ბრწყინავდა ღმერთებრივად ფრად უხვი მადლი მისი
 ეპიფანე და ნიკითორე ესრეთ აღწერენ ხორციელსა სახესა და სულიერ-
 თა თვისებათა მისთა, რამელითაცა იგი იყო შემოსილ ქუჩუნასა
 ზედა.

ჭსცხორებდა რა სახლსა შინა ირანე ღთის-მეტყველისასა. ხშირად
 ვიდრედა ხილვად მათ ადგილთა, რამელნიცა განათლებულ იქმნეს სისხ-
 ლითა უუსაყვარელისა ძისა მისისათა. ხშირად ვიდრედა ბეთანიასა ში-
 ნაცა, სადაცა იშუა მისგან ძე მისი გამოუთქმელად, დაიცვა რა ქალწუ-
 ლება თვისი უვნებელად. და უმეტეს ყოველისა უყვარდა სლუა განმხორლე-
 ბით ადგილთა მათ შინა, სადაცა ძემან მისმან დაითმინა ნებსითი ვნე-
 ბა და აზვურებდა მათ ცრემლითა დედობრივისა სიყვარულისათა, მეტ-
 ყუბლი: «აქა აწვალეს საყვარელი ძე ჩემი; აქა დაადგეს მას გვირგვინი
 ეკლისა; აქა მოუძღურდა იგი მტკირთველი ჯვარისა და აქა ჯვარს ეცვა.»
 გარნა მიწა-ვიდრედა საფლავისა თანა მისისა, გული მისი აღიკვებოდა
 გამოუთქმელისა სინარულითა და ცრემლითა მხიარულებისათა იტყოდა :
 “ აქა დამარხეს იგი და მესამესა დღესა აღსდგა!,, კვალად ჭსწერენ ვითარ-
 მედ, რამელთამე ჭურჩათა, შუჩის მეძიებელთა, მოახსენეს მღუდელთ-მთა-
 ვართა და მწიგნობართა, რამეთუ მარამ დედა იესოსი თვითყოულსა დღე-


სა მივალს გოლგოთას და წინაშე სათუჯავისა, რომელსა შინა დაიდგა იესო, მოიდრეკს მუხლთა, სტირს და უკმევს კეთილ სუნუნელოვანსა გუნდრეკსა. მღჳდელთ მთავართა და მწიგნობართა, მსწრათუდ დაადგინეს მუნ მცჳსწლნი, რათამცა ქრისტისთანთაგანმან არა ვინ იკადროს მისკლას წმინდისა სათუჯავისადმი. ამისაგან შესაძლო არს ვინილოთ რომელ დროსა მასკუ იწყო ქრისტისანეთა შორის კეთილ მსახურებითი ჩჳსწულება, ესე იგი განათლება წმიდათა ადგილთა და მუნ თაყვანისცემას ქრისტესი, რომელმანცა ივნო ჩჳსწითჳს ნებსითის ვნებითა. გზა და მაგალითი ამა ჩჳსწულებისა გვიჩვენს ჩჳსწ ჰიჩკულად ღჳთის-მშობელმან რომელსა შეუდგნენ სხჳანიცა წმიდანი მამანი და დედანი. მღჳდელთ მთავართა და მწიგნობართა, აღვისილთა სიძულელითა და მკვლელობითა, დაადგინეს, ვითარცა ზემოჩქე თქმულ არს მცჳსწლი სათუჯავსა ზედა, რათა არა ვინ მიუშვან მუნ, და მოკლანცა თჳთ დედა ქრისტესი. გარნა ღმერთმან დაუბრძანა თჳლნი მცჳსწლთა მათ: იგინი კერა ხედვიდენ კერცა ყოვლად-წმიდასა ქალწულსა რომელიცა ჩჳსწულებისამებრ თჳსისა განაგრძობდა მარადის სლჳასა თჳსსა სათუჯავისადმი და კერცა მათ დედათა, რომელნიცა ვიდოდინან მისთანა. მცჳსწლთა, რომელნიცა იყვნეს სათუჯავსა ზედა არა მცირედსა ყამისა მოახსენეს მღჳდელთ მთავართა და მწიგნობართა და თჳიტით დაუმტკიცეს მათ, რომელ კერავინ იხილეს მათ მოსული სათუჯავად. ეგრეთჳკ დედოფალი ხშირად აღვიდოდა მთას ზედა ელქონისასა, სადაცა ქრისტე ამაღლდა, მოიდრეკდა მუნ მუხლთა და ამბოჩს უყოფდა კანცხლ-ბეკთა თჳრხთა ქრისტესთა, რომელთა კვალი დაშთა დაბეჭდილ ქჳსას ზედა. და ტირილითა ეკედრებოდა იგი ძესა და ღმერთსა თჳისსა, რათამცა აღიტაცოს იგი თჳსდა. რამეთუ უმეტეს მოციქულისა ჰავლესსა სურდა მას განსკლას კორცისაგან და ცხოვრება ქრისტეს თანა. ვითარცა ხშირად განიმეორებდა იგი სიტყჳსა დაჳითისასა: „ოდესმე მოვიდე და კეჩჳსწნო ჰიჩსა ღჳთისასა! იქმნეს ცრემლნი ჩემნი ჰურად ჩემდა დღე და ღამე. ოდეს ვინილო თჳრიად საყვარელი ძე

ჩემი, ოდეს მივიდე მისდა, მჯდომარისა მარჯვენით ღუთისა და მამისა? ოდეს წარვსდგე საუდარსა, დიდებისა მისისასა? ოდეს განვსძლე მჭკრე-ტელობითა პირისა მისისათა? ზი! უოკლად ტკბილთ ძეო და ღმერთო ჩემო. ყაში აწს შეწყალებად სიონისა, ყაში აწს შემიწყალო მეცა დედა შენი სამწყურსა სოთუელსა ამას შინა, გერლარსა სადამე მხილველი პირისა შენისა და მგლოვარე: აწ უკრძალ ამოიყვანე საპურობილით გორცთაგან სუდი ჩემი! ვითარ სახედ სურის იქმისა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამო ღმერთო, განვსძლე გამორჩინებასა დიდებისა შენისასა.»

უოკლად-წმიდა ქალწული ოდესმე მრავალ ყამ დაადგრებოდა ელეონის მთასა ზედა, ამისთჳს, რომელ მუნ იყო დაბა იგი გეთსამანიისა, და მუნვე ქრისტე გერძო მთისა მტრე ნაწილი მიწისა ზებედესი და მტილი, შემადგენელი იოანე ღვთის-მეტყუელის სამკვიდრებელისა. და თუთ მტილსა ამას შინა უფალი ჩრტნი უწინარეს ნებსით ვნებისა თჳსისა, მოიდრეკნა მუხლნი თჳსნი, წინაშე მამისა თჳსისა და ეკედრებოდა და სისხლისა ოთელი თხემისა მისისაგან გარდამოვიდოდა. შემდგომ თუთ ამაკე წალკოტსა და მასკე ადგილსა შინა უდკლად-წმიდა დედა მისი მუხლთ მოდრეკით აღაკლენდა მხურვალეთა ლოცვათა, დასთხეკდა რა ცრემლთა, მიიღოცა ნუგეშინის ცემა ღუთისა ანგელოსისა მიერ უწყებითა მსწრათელ მიცვალებისათჳს მისისა. მოწმობისა მებრ საბერძნეთის ისტორიის მწერლის გიორგი კედრინისა, ანგელოსი გამოეტხადა მას ორგ-ზის: პირველად უწინარეს ათხუთმეტისა დღისა, მეორედ სამის დღისა წინარე უოკლად წმიდის მიცვალებისა და მაშინ მოართჳა მას სამოთხილამ ფინიკის რტო, რომელსაცა შემდგომად იოანე ღვთის მტყუელს მოაქრნდა წინაშე ღვთის მშობლის გუბოღსა ყამსა სათლავად განსკენებისასა; რომელნიმე (ესე იგი მელიტონ ეპისკოპოსი სარდიისა), ჰსწერენ ვითარმედ წმიდა იოანე ღვთის მტყუელისა უწინარეს ღვთის მშობლის მიცვალების განემოჩა ეთესოდ, და მუნდამ, ვითარცა სხუნანი მოციქულნი, გარნა უწინარეს სხუნათა, აღტაცებულ იქმნა ღრუბლითა და

მოუყვანილ სახლად თვსად. გარნა სხუნანი, ვითარცა მეტაფრასტი და სოფ-
რანი მოკუითხრობენ, ვითარმედ წმიდა იოანე შვილად წოდებული ყოვ-
ლად წმიდისა მიერ არა განშორებიეს არაოდეს მისგან, არამედ მსახუ-
რებდა მას, ვითარცა პატრიარქის მცემელი დედისა თვისსა, განუსვენებდა რა
სახლსა შინა თვისსა, ვიდრე ყამადმდე ნეტარისა აღსრულებისა. იგი
განეშორებოდა მხოლოდ მოკლეს ყამს მახლობლად ქალაქებსა, ვითარცა
ამისთვის მოიხსენების საქმე მოციქულთა შინაცა, რომელ იგი იყო პეტ-
რესთანა სამარხისა შინა; გარნა იგი არაოდეს არა დაუტოვებდა ყოვლად
წმინდასა, არა მიმღებელი მისისა გურთხევისა, და დაუყოვნებლადცა უ-
კუნ იქცეოდა მისდამივე იერუსალიმს. ყამსა იოანეს განშორებისასა მიი-
ღებდა კალდებულებასა მისსა მსახურებად ყოვლად წმიდის ქალწულისა
წმიდა იაკობ, ძმა უფლისა, რომელიცა მარადის იმყოფებოდა იერუსა-
ლიმსა შინა წმიდასა საყდარსა ზედა მისსა. აჴა ყოველი რაჲცა შეკრე-
ბულ და დაწერილ არს ქალწულისა თვის შემდგომ იესოს ქრისტეს ამაღ-
ლების მიტკალებადმდე ყოვლად-წმიდისა.

სვინაქსარი იე. აგვისტოსსა.



მონაწილეებისათვის,

მიცემულისა

იესო ქრისტეს სახელზედ. (*)

I.

რომელიმე ურმა იყო ეკლესიაში და შეისმინა მოძღვრებაში, რომელ მოწყალებასა, რომელსაცა ვაძლევთ გლახაკთა, ვაძლევთ თვთ ქრისტესა; დაიჭვნეულდა ის ჭეშმარიტებასა ზედა ამა სიტყუათა; რამდენიმე ხანი ამასედ თეიქრობდა და თავისთვის ამბობდა: «მე მრწამს, რომელ ქრისტე ზეტას მჯდომარე არის მარჯუენით მამისა თვისისა; ვითარ ძალუძს მას იეოს ქრესტანასედაც, და მიიღოს ჰური, რომელსაცა მე ვაძლევ გლახაკსა?» მიმავალმან ქუჩასა შინა, იხილა მან გლახაკი კონკებისა შინა, რომელიცა ითხოვდა ქრისტეს გულისათვის მოწყალებასა; თავსა ზედა მთხოვარისა იყო გამოხატულება ქრისტეს მაცხოვრისა. ამისთანას ხილვისაგან დაუწყებულე ურმა მოვიდა შიშში. ამ დროს მახლობელის სახლიდგან ერთმან ქრისტეს მოყვარემან გამოუტანა მთხოვარსა ნატეხი ჰურისა, და როდესაც იგი აძლევდა მოწყალებასა, მაცხოვარმან, გამოხატულმან თავსა ზედა გლახაკისასა, მიაწოდა ხელი და გამოართო მიცემული, ხოლო მიმცემელი აკურთხა. შემდგომ ამა ხილვისა ურმა შეიქმნა

(*) ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო იქმნებოდა, რომ ეს მშვენიერი მოთხრობა ეთარგმნა პატიოსანს ავტორს ხალხის გასაგონად, და არა ეკლესიურის ენით.

ესრეთ მოწყალე, რომ ერთელსა ქალქსა შინა არ იმყოფებოდა მსგავ-
სი მისი, რწმენა რა, რომელ სიტყუა მღუთისა არს ჭეშმარიტ და აღ-
თქმანი უფლისანი უცილობენი. (*)

II.

ს ი ლ გ ა

ი რ ა ნ ე მ ო წ ე ა ლ ი ს ა .

წმიდა მოწყალე ირანემ, ვატკრიაჩხმან ალექსანდრისმან, მეთექვს-
მეტესა წელსა თვის ცხოვრებისასა, იხილა ძილსა შინა ქალი საკვირ-
ვლად ვშკენიერი, შემოსილი ბრწყინვალისა სამოსლითა, ზეთისხილის
ტოტითა თავთა ზედა, და პირი მისი ანათებდა უბრწყინვალეს მზისა.
იგი მივიდა მის საწოლთა თანა და შეეხა რა გვერდთა მისთა, გააღვიძა
იგი. მაშინ, იხილა რა იგი აგრე ცხადად, მან ითვიქრა, რომელ იგი არს
რომელიმე დედაკაცი და დაიწერა რა პირს ჯვარი, ჭკითხა მას: «კინ არს
იგი, და ვითარცა გაბუდა მისგულა მძინარისა ყრმისათანა?» მან შექსედა მას
ბრწყინვალისა სახითა და უთხრა ღიმილითა: «მე ვარ უფროსი ქალი
დიდის მეუღისა.» ამა სიტყუებთა თანა მან თაყვანისცა მას, და ქალმან
დაიწყო: «უკეთუ შენ იქმნები ჩემს მეგობრად, მე მიგიყვან შენ წინაშე
მეუღისა, ვინააღგან არა ვის აქუს მისდამი ესრეთი ძალი კადნიერებისა,
ვითარცა მე: მე შთამოვიყვანე იგი ციღვან ქუჭყანასა ზედა და განვაგულს-
მოდგინე შემოსვად სხეულსა შინა კაცისასა, რათამცა აცხოვნოს კაცნი.»
ჭსთქვა რა ესე სიტყუანი, იგი დაითარა. — წმიდა ირანემ გამოითხი-
ზლა რა, იგრძნო რასაცა ნიშნავდა ხილვა ესე, — ქალის სახით გამოეცხადა
მას მოწყალეობა.

იქმნა რა ალყვანილ ნებითა ღუთისათა ხარისხსა ზედა ვატკრიაჩხისასა,
მან მოუწოდა თვისდამი ეკონომთა და დიაკონთა, და უთხრა მათ: «ძმა-

(*) სვინაქსარო სეკლ. იმ.

ნო, ანა იქმნების უკანონო, უკეთუ ჩუქნ უწინარეს ყოველისა კიზრუნებთ
ანა იესო ქრისტესა-თჳს, ანამედ სხუა რომელიმე საქმისა-თჳს. » და
ინილა რა, რომელ მსმენელნი ფრიად აღძრულ ანან ამა სიტყვა-
ბითა, დაუმატა: «წარკედით ქალაქსა შინა და აღჭსწერეთ ყოველნი ჩემნი
უოვალნი.» რომდესაც განკვირებულთა მსახურთა ეკკლესიისათა ჭკითხეს მას
ვის გრძნობს იგი სახელითა უოვლისა თჳსისათ? მაშინ მიუგო მათ: იგი-
ნი, რომელთაცა თქუქნ უწოდოთ გლახაკად და დაკრდომილად, ანან უ-
ოვალნი ჩემნი და თანა-შემწენი: მათ ძალ-უძსთ ჭეშმარიტად შემეწი-
ნენ მე მიხწევისადმი ცხოვრებისა და შემეყვანონ სასუფეველსა შინა ცა-
თასა.

ამა ღუთის სათნომან მღუდელ-მთავარმან შეჭსწირა ყოველი თჳსი
სიტყვცხლე უოვალსა ღმერთსა, უხვებითსა მოწყალებასა, გლახაკის მოყ-
ვარებასა და უცხოთ შემწენარებლობასა შინა. მან სიმშვიდესა შინა მიჭსცა
სული თჳსი ღმერთსა: შემდგომი აღსრულებისა განსკენება და სინარული
ბრწყინავდნენ შინსა ზედა მართლისასა.

III.

« ნეტარ არს, რომელმან გულის-ხმა-ჭყოს გლახაკისა და დაკრდომი-
ლისა, დღესა ბოროტსა ინსნას იგი უოვალმან. » ფსალ. მ. მუხ. ა, ბ.
« რომელსა უუკარს გლახაკი, ავასხებს ღმერთსა. » იგავ. ით, ზ.

წმიდა მოწყალე იოანნე, მოძღვრებს რა მოწყალებასა ზედა, წარმოს-
თქვამს საკვირველსა მოხდენილებასა, აფრივასა შინა. ამბობს იგი, იყო
რომელინე მომკრეფი დებულებისა, სახელობრივ პეტრე, კაცი ფრიად
მდიდარი, კრიყანგი და შეუბრალეული, რომელიცა აწოდეს არ აძლეუ-
და მოწყალებასა ქრისტეს გულისა-თჳს. გარნა ერთსა დროსა გლახაკი
ჭსთხოვდა მას მოწყალებასა სახელითა ქრისტესითა. პეტრემ, განჩის-
ხებულმან მოუცილებელის გლახაკის თხოვნითა ვერა ჭზოვა რა ქვა, და
სტაცა პურსა, და მიარტყა მას თავში; გლახაკმან აიტაცა ის პური და
ჭსწირათად განშორდა სინარულითა.

შემდგომ ორის დღისა, პეტრე მძიმედ ავათ გახდა, და იხილა ძილ-
სა შინა, რომელ ყოველნი მისნი საქმენი სასწოროსა ზედა იწონებინ, ერ-
თსა მხარესა ზედა სასწოროსასა იდგნენ შავნი ეფიოპნი, მეორესა ნა-
თელნი ანგელოსნი. საშიშართა დააწყეს მრავალნი მისნი ბოროტნი საქმენი
ერთსა თეუმსა ზედა სასწოროსასა, ხოლო ანგელოსნი მწუხარებდნენ, ვერა
ჭბოკებდნენ რა არცა ერთსა მისსა კეთილსა საქმესა, რომელიცა დაედოთ
მეორესა თეუმსა ზედა სასწოროსასა. ბოლოს დროს ერთმან ანგელოს-

თაგანმან ჭსოქჳა: «მე კიცი ერთი კეთილი საქმე ამა კაცისა: სამის დღის

წინათ მან მისცა ჰური იესო ქრისტესა, თუმცა წადილით არა». იმაჳ
სათსაჳე მათ აიღეს ჰური იგი, და დასდეს სასწოროსა ზედა, და მან ასწიკა

თეუმი, სავსე ცოდვებითა. მაშინ ანგელოსთა უთხრეს პეტრეს: «წარ-
კედ კაცო უბედურო, მიუმატე ამა ჰურსა კიდევ რამდენიმე ჰურნი: სხვებრ
შენ ვერ განჭრიდებ ხელთა დემონთასა.» პეტრემ გამოიღვიძა და იგრ-
ძნო, რომელ ესე იყო ხილვა ჭეშმარიტი, — ამისთვის რომელ სასწოროსა
ზედა იხილა ყოველნი თვისი სიტოცხლის ცოდვანი, რომელნიცა მო-
მატებული ნაწილი დავიწყებულ ჭქონდა, და იწყო მწარედ ტირილი
და სთქვა: «კაჲ! უკეთუ ერთი ჰური განმწარებით გარდაგდებული
გლახავისადმი, ამდენ სასარგებლო არს სასჯელსა შინა, მაშ კითარსა
გამოუთქმელსა სარგებლობასა მიიღებს იგი, ვინცა წრთელისა გულითა
ამდევს თვისსა ცხოვრებასა ღარიბთა?» ამა დღიდგან პეტრე სრულებით
სხვა კაცად შეიქმნა, და ესრეთ შეიყვარა მოწყალება, რომელ არ და-
ზოგა სხეულიცა თვისი.

ერთ-ჳერ, მეხრმაღდე, გადაჩენილი დანთქმისაგან, შიშველი დაუცხ
ფერხთათანა მისთა და ეკედრებოდა შემწეობასა ზედა. პეტრემ გაიხადა
თვსგან სამოსელი ბაღნისაგან თხისა, რომელიცა მას აქუნდა თვთ უკე-
თესი, და მისცა შიშველსა მეხრმაღდესა, რათამცა მას ეტარებინა იგი:
გარნა გლახკმან ჭსცნო რა იგი თაჳისთვის გარდამატებით მოსახდენათ,
მიჭყიდა მკერვალსა. პეტრე უკუმოიქტეოდა რა სახლსა შინა, იხილა თვ-
სი სამოსელი დუქანსა შინა დაკიდებული, და ამითა ესრეთი განმწარდა,

რომელ მივიდა რა სახელში, არ იყო ჭაბა, არამედ ჰსწუხდა და სტი-
რად, ამბობდა რა თავისთვის: «სჩანს მე არა ვარ ღირს რათამცა იმა
გლახაკსა მოეგონებინა ჩემზედ.» ამა სიმწარესა შინა მან დაიძინა და
იხილა ძილსა შინა კაცი მსათობი უბრწყინვალეს მზისა, მატარებელი
ჰვარისა თავსა ზედა თვსსა და შემოსილი თვით იმა შესამოსს შინა,
რომელიცა მან მისცა მესომადღესა. ამა ბრწყინვალე კაცმან ჰკითხა გან-
მწარებულსა: «რასა ზედა სტირ შენ ჰეტრე! ამან იგძნო რა, რომელ
უბნობს უფლისათანა, მიუგო მას: «მე ვსტირ მას ზედა, უფალო, რომელ
გლახაკნი, რომელთა თანაცა მე განკუთვ მიღებულსა შენგან, ირცხვინიან
ჩემთა საჩუქართაგან» მაშინ უფალმან უთხრა მას: «ჰსცნობ შენ ამა შე-
სამოსსა? აი მე ვატარებ მას ჩემსა ტანსა ზედა, იმა დროდგან, რაც
შენ მომეც მე იგი, და ვაკურთხებ შენსა უხკებასა; ვინადგან მე ვიყავ
შიშველ და შენ შემომსე მე» (მათ. კე. ლგ.). ჰეტრემ განიღვიძა რა გან-
კვირვებასა და სიხარულსა შინა წარმოიღვალა: «ცხოველ არს უფალი!
უკეთუ იესო ქრისტე იმყოფების გლახაკთა სახითა, მაშ არ მოკვდები
მეცა, როდესაც შევიქმნები გლახაკად.

მალე შემდგომ ამისა მან დაურვიდა ყოველი თვისი ცხოვრება გლახაკ-
თა, განუტევა ნებასა ზედა ყოველნი თვისნი მონაჩი, გარდა ერთისა მე-
კარისა, და მოუწოდა რა მას თვსდამი, უთხრა მას: «მე მსურს მოგან-
დო შენ საიდუმლო; მაგრამ უკეთუ შენ არ დაიცავ მას, ანუ არ აღა-
სრულებ ნებასა ჩემსა, მე მიგყიდი შენ წარმართთა » უთხრა რა ესე, მან
მისცა ათი ლიტრა ოქრო და დაუწყო ესრეთ: «იყიდე ამა ფულებითა
სავაჭრო, შემდგომ წამიყვანე მე, ვითარცა მონა იერუსალიმსა შინა, მიმ-
ყიდე მე იქა რომელსამე ქრისტიანესა და მიღებულნი ფულნი დაურვიე
გლახაკთა.» მსახურსა არა ჰსურდა აღსრულება ამისთანა ბრძანებისა, მა-
გრამ უფალმან დაუმტკიცა მას: «გარწმუნებ შენ, რომელ უკეთუ შენ არ
გამყიდი მე, მე მიგყიდი შენ წარმართთა.» მაშინ მსახურმან განიწყინა
დამოწმობა. მივიდა რა იერუსალიმსა შინა, მან მიჰყიდა უწინდელი
უფალი თვისი ერთსა თვსსა ნაცნობსა, სახელდობრივ ზოილესა, ოც და

ათ კერცხლის მანეთათ , და მიიღო რა ფული, გაემგზავრა ცარკლად-
ში, რათამცა დაიტკას საიდუმლო და დაურიგოს ფული გლახაკთა.

პეტრემ იწყო მსახურება სახლსა შინა ახლისა უფლისა თვისისასა ერთ-
გულობითა და სიმშვიდითა: იგი ირჯებოდა სამზარეულოსა შინა, ჭრეტ-
ხდა ტანისამოსსა და საცვალსა, ხოლო თავის უფალსა დროებასა ატა-
